# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# ბრძანება №6/1

**ქ.თბილისი** „13" იანვარი 2017 წ

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე**

„მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძეს უფლებამოსილება, რათა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახელით ხელი მოაწეროს 2017 წლის 16-21 იანვარს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომელთა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით დაგეგმილ შეხვედრებზე მიღწეულ შეთანხმებას (პროტოკოლს) ორ ქვეყანას შორის მობილური კავშირის სიგნალების კოორდინაციასთან დაკავშირებით;

2. დაევალოს ს. შავგულიძეს შეხვედრის ოქმის კომისიისთვის წარმოდგენა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** ს. შავგულიძის მოხსენებითი ბარათი კომისიის თავმჯდომარის რეზოლუციით (11.01.17. შ-N10/187-17).

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე